სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი ელაშვილის ანგარიში 2023 -2024 წელი

ჩემო თანასოფლელებო, მოგეხსენებათ, რომ არჩეული ვარ სოფელ ჯუგაანისა და ერისიმედის ამომრჩევლების მიერ საკრებულოს წევრად 2021 წლის ოქტომბერში ჩატარებული სიღნაღის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შედეგად.

2021 წლის 3 დეკემბერს შეუდგა საკრებულო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას. ამ დღიდან, ჩემი როგორც საკრებულოს წევრის, საქმიანობა მოიცავს საკრებულოს ფრაქციის „ ქართული ოცნება “, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას.

საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი ფრაქცა „ქართული ოცნების“ ყველა სხდომას. ჩატარდა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის 12 სხდომა. აქტიურად ვმონაწილეობდი საკითხების განხილვაში. საკრებულოს სხდომებზე ჩემს მიერ მხარდაჭერილი იქნა როგორც, საკრებულოს მიერ სამუშაო გეგმით განსაზღვრული, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმული მიმდინარე საკითხები.

საანგარიშო პერიოდში მქონდა შეხვედრები ინდივიდუალურად მოსახლეობასთან. მოვისმინე მათი პრობლემები და პრიორიტეტული საკითხები, რომლებიც ეხებოდა: ჯანდაცვას, ინფრასრტრუქტურას, განათლებას, საყოფათცხოვრებო პირობებს, სოფლის კეთილმოწყობას და სხვა საკითხებს. აქტიურად ვმონაწილეობდი მათ განხილვასა და გადაჭრის გზების ძიებაში.

საანგარიშო პერიოდში გარკვეული სოციალური დახმარება გაეწია მარჩენალდაკარგულებს, ეკონომიურად გაჭირვებულ ოჯახებს, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს, შშმ პირებს, ავადმყოფებს და ა.შ.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვმონაწილეობ , სოფელ ჯუგაანსა და ერისიმედში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროქტების განხორციელების საკითხების დაგეგმასა და განხილვაში:

1. სოფელ ჯუგაანში დაიგო ასფალტი საბავშო ბაღის გზაზე (319 520ლარი.);
2. მოეწყო გარე განათება რამოდენიმე უბანში (24530ლარი);
3. მოიხრეშა სავარგულებთან მისასვლელი გზა;
4. მიმდინარეობის სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის რეაბილიტაცია;
5. წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად მოეწყო ახალი სისტემის ქსელები, ჭაბურღილები და მოსახლეობა ახალი სისტემით იწყებს წყლის მომარაგებას 24 სთ-ის განმავლობაში.

როგორც სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი, კვლავაც გავაგრძელებ მოსახლეობასთან კომუნიკაციას. აქტიურად ვითანამშრომლებ მერიის სამსახურთან და ყველა შესაბამის სტრუქტურასთან. სოფელ ჯუგაანის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ იმ საკითხებს, როლებიც ეხება ჯუგაანის და ერისიმედის მცხოვრებ მოსახლეობას.

დასასრულს, მინდა მადლობა გადაგიხადო არჩევნებში მხარდაჭერისა და ნდობის გამოცხადებისთვის. საანგარიშო პერიოდში მიღებული გამოცდილებით, უფრო მაღალი პასუხისმგებლობით და მეტი შემართებით ვიმუშავებ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

გიორგი ელაშვილი